

# კრემლის სთორითელინგის საყარო - გიორი, ბოროტაბა და მსხვერპლი

EuvsDisinfo საინტერესო სტატიების სერიას გვთავაზობს, კრემლის დეზინფორმაციული სტრატეგიის გასაშიფრად. პირველი ნაწილი ეხება მიდგომას, რომელიც მამაცი გმირის, ბოროტისა და მსხვერპლის მონაწილეობით, მიმზიდველ ისტორიას ქმნის. მაშ ასე, როგორ მუშაობს კრემლის დეზინფორმაცია. ნაწილი I.

## წინასიტყვაობა

იყო და არა იყო რა. ერთ შორეულ სამეფოში, დრაკონს მთელი მოსახლეობა მძევლად ჰყავდა აყვანილი და თავისი შხამიანი სუნთქვით ყველას წამლავდა. სამეფოს მაცხოვრებლებმა დაივიწყეს ყველაფერი მნიშვნელოვანი: ფასეულობები, წესიერება, წარსულის მოგონებები. დრაკონმა ხალხს დააჯერა, რომ ისინი ბედნიერები იყვნენ. თუმცა, ერთი მეზობელი პრინცი არ ემორჩილებოდა დრაკონს; მის ხალხს დრაკონის შხამიანი სუნთქვის წინააღმდეგ იმუნიტეტი აღმოაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ დრაკონი და მისი ხელქვეითები მუდმივად ცდილობდნენ პრინცის დამარცხებას, ის საკუთარი თავის დაცვასა და შორეული სამეფოს ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში ყოფნას ახერხებდა.

დეზინფორმაცია - ამბის მოყოლის ე.წ. სთორითელინგის ფორმაა. მატყუარას გამოწვევა კი, სიცრუის მიმზიდველად და დამაჯერებლად ქცევაა, რათა მან გავლენა მოახდინოს აუდიტორიაზე. პრო-კრემლისტური დეზინფორმაციის დიდი ნაწილი ჩაშლილია მცირე ნარატივებად, ზემოთ მოყვანილი ამბის მსგავს სიუჟეტებად.

## ისტორიები/ამბები ფაქტების ნაცვლად

ამერიკელი მკვლევარის ვალტერ ფიშერის თქმით, ისტორიები/ამბები უფრო დამაჯერებელია, ვიდრე ფაქტები.

სთორითელინგის შექმნის ცნებას იწყება იმით, რომ ხალხს ზოგადად ისტორიების უფრო სჯერა, ვიდრე ფაქტების. მაგალითად, ჩვენ გადავწყვიტეთ სიგარეტის მოწვევა, რადგან მოგვწონს მოწვევის პროცესი (ისტორია), როგორ გამოიყურება ის და ა.შ., ამავდროულად წარმატებით უგულვებელყოფთ ფაქტს მოწვევის შედეგების შესახებ. მამაკაცი ბოსები ატარებენ ჰალსტუხს არა იმიტომ, რომ ეს პრაქტიკული ან გამოსადეგია, არამედ იმიტომ, რომ იგი მოგვითხრობს ისტორიას მათ მნიშვნელობაზე, ძალაუფლებაზე და ა.შ. კრემლის დეზინფორმაცია აუდიტორიას უყვება ისტორიებს საზოგადოებრივ საფრთხეზე, კორუმპირებულ პოლიტიკოსებსა და გამბედავ რუსეთზე - მიმზიდველ ამბებს, რომლებიც ძალიან რეზონანსულია აუდიტორიაში. ისევე როგორც კონკიას, ან წმინდა გიორგის ლეგენდა.

კრემლის დეზინფორმაცია მთლიანად სთორითელინგზეა დაფუძნებული. დღემდე, EuvsDisinfo-ს განცხადებების 9 000-მდე შემთხვევა აქვს შეგროვებული, რომელიც თითქმის იდენტურ ნარატივზეა დაფუძნებული და საზოგადოების დაუცველობის შეგრძნებაზე მუშაობს.

ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, რომ რეალურად, ისტორიის მოყოლის ძალიან ცოტა გზა არსებობს. ბრიტანელი ავტორი კრისტოფერ ბუკერი შვიდ ძირითად სიუჟეტს ასახელებს. ცხადია, ისტორია შეიძლება შეიცავდეს სიუჟეტის რამდენიმე პარალელურ ხაზს, მაგრამ ზოგადად - სიუჟეტების ძირითადი კონტურები ერთი და იგივეა.

ამბავი პრინცზე, რომელიც დრაკონისგან იხსნის ხალხს, პრაქტიკულად იგივეა, რაც კრემლის ვერსია ნაციზმზე გამარჯვების შესახებ: სიკეთე ამარცხებს ბოროტებას და გადაარჩენს უმწესს. რუსეთი (მამაცი პრინცი), ამარცხებს ნაციზმს (ბოროტი დრაკონი) და გადაარჩენს ევროპას (უმწესო მსხვერპლს).

თუკი ახალი კორონავირუსის პანდემიას გადავხედავთ, როლები იგივეა: რუსეთი (პრინცი) დაუპირისპირდა კოროვირუსსა და ეგოისტ მეზობლებს (ბოროტ დრაკონებს) და გადაარჩინა იტალია (უმწესო მსხვერპლი). ისტორიის ძირითადი სტრუქტურის შეცვლა მარტივად შესაძლებელია, გარკვეული ელემენტები ხაზგასმით, სიუჟეტის მეტნაკლებად გართულებით, მაგრამ საბოლოოდ, ნარატივი იგივე რჩება. ამ ხაზით შესაძლებელია ნებისმიერი სახის სიტუაციის, კონფლიქტის ან კრიზისის მოყოლა.

იყო და არა იყო რა

პრო-კრემლის დეზინფორმაციის ძირითადი ნარატივი მარტივად იწყება, რომელიც საოცრად ჰგავს იმას, რასაც ზღაპრებში ვკითხულობთ:

დესტრუქციული ძალები, რომლებიც აკონტროლებენ მთავრობას, ფულს და მედიას, საფრთხეს უქმნიან მსოფლიოს ბუნებრივ წესრიგს და ღირებულებებს. გამანადგურებელმა ძალებმა დაიმორჩილეს ხალხი. რუსეთი არაერთხელ გახდა თავდასხმის მსხვერპლი და თითქმის განადგურდა კიდევ. ბრძენმა და ძლიერმა ლიდერებმა ყოველთვის მოახერხეს რუსეთის აღდგენა და ბრძოლაში დაბრუნება. ახლა რუსეთი კაცობრიობისთვის წესრიგის უკანასკნელი იმედია, ქრისტიანული ღირებულებებისა და სტაბილურობის საფუძველი.

რა თქმა უნდა, დეზინფორმაცია ზღაპრებს არ ეხება.

სთორითელინგის კონცეფცია არის გზა, აღვწეროთ, როგორ მუშაობს დეზინფორმაცია, როგორ არის ის გადმოცემული.

წინასიტყვაობა ერთგვარი შაბლონია მწერლებისთვის, ექსპერტებისთვის და რა თქმა უნდა პოლიტიკოსებისთვის, ტყუილის ისე მისაწოდებლად, რომ აუდიტორია მიიზიდოს. წინასიტყვაობის სხვადასხვა ელემენტს შესაძლოა ხაზი გაესვას იმის მიხედვით, ვისზეა გათვლილი, ადილობრივ თუ საერთაშორისო აუდიტორიაზე; მემარჯვენე თუ მემარცხენე ძალების მომხრეებზე.

წყარო: [EuvsDisinfo](https://euvsdisinfo.com/)

თარგმანი: ხატია ლალიძე